საზოგადოებრივი მაუწყებლის

# 2024 წლის ანგარიში



პირველი არხი
1TV.GE

# პრეამბულა

2024 წელი ქვეყნის პირველი ტელევიზიისთვის ისტორიული მნიშვნელობის იყო. 2024 წლის 16 ოქტომბერს შედგა პირველი არხის ახალი შენობის გახსნის საზეიმო ცერემონიალი, რომელსაც დაესწრნენ ადგილობრივი და უცხოელი სტუმრები.

შენობის საძირკველში სიმბოლური კაფსულა 2020 წლის 30 დეკემბერს, პირველი არხის 64-ე დაბადების დღეს ჩაიდო.

თითქმის ოთხწლიანი მშენებლობის შემდეგ, პირველი არხის ახალი, ულტრათანემედროვე და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი შენობის მშენებლობა დასრულდა. მასშტაბი, კონცეფცია, გამორჩეული დიზაინი და არქიტექტურა – პირველი არხის ახალი მისამართი პოლიტკოვსკაიას 31-ია. შენობას უჭირავს 26 000 კვადრატული მეტრის ფართობი, აქედან 1 200 კვმ ფართობი - სტუდიებს, რაც რეგიონში (და არამხოლოდ) უპრეცედენტოა. ეს არის უახლესი ტექნიკით და თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი ორი კორპუსი სტუდიებით და პავილიონებით. გარდა გამორჩეული არქიტექტურისა და მასშტაბებისა, შენობა არის ფუნქციურად ძალიან დატვირთული. ეს არის მულტიმედიური სივრცე, რომელიც ადაპტირებულია არა მხოლოდ სატელევიზიო, რადიო და ონლაინ მაუწყებლობის პარამეტრებზე, არამედ კინოწარმოებისთვისაც დიდ შესაძლებლობებს ქმნის.










**წარმოგიდგენთ მაუწყებლის 2024 წლის საქმიანობის ანგარიშს „მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მოთხოვნის შესაბამისად:**

„1. სამეურვეო საბჭო არაუგვიანეს ყოველი წლის 1 მაისისა საქართველოს პარლამენტსა და კომისიას წარუდგენს და აქვეყნებს ანგარიშს საზოგადოებრივი მაუწყებლის გასული წლის საქმიანობის შესახებ."

2. ანგარიში უნდა შეიცავდეს ინფორმაციას:

ა) საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს სამაუწყებლო პოლიტიკის შესახებ;

ბ) საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მიმდინარე და სამომავლო პროგრამული პრიორიტეტების შესახებ;

გ) მიმდინარე და სამომავლო პროგრამათა განრიგის შესახებ;

დ) დამოუკიდებელი პროგრამებისა და მათი მწარმოებლების შესახებ;

ე) საზოგადოებრივი აზრისა და სამაუწყებლო ბაზრის კვლევის შედეგების შესახებ;

ვ) განხილული საჩივრების რაოდენობისა და შინაარსის შესახებ;

ზ) საჯარო განხილვების შინაარსისა და მოქალაქეთა წინადადებების შესახებ;

თ) საზოგადოებრივ მაუწყებელსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე საწარმოების შესახებ;

ი) საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მომავალი წლის ბიუჯეტის შესახებ;

კ) საზოგადოებრივი მაუწყებლისა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ბიუჯეტის შესრულების შესახებ;

ლ) შიდა აუდიტისა და გარე აუდიტის დასკვნებს.

## ა ] საზოგადოებრივი მაუწყებლის სამაუწყებლო პოლიტიკის შესახებ

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამაუწყებლო პოლიტიკას განსაზღვრავს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ და მისგან გამომდინარე პროგრამული პრიორიტეტები, რომელსაც შეიმუშავებს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო.

**იხ. დოკუმენტი:**
https://shorturl.at/jlqs1

## ბ ] მიმდინარე და სამომავლო პროგრამული პრიორიტეტების შესახებ

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ სამეურვეო საბჭოს 25/03/2022წ. #529 გადაწყვეტილებით დამტკიცდა საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამული პრიორიტეტები (2022 წლის 26 მარტიდან - 2025 წლის 26 მარტამდე პერიოდზე).

**იხ. დოკუმენტი:**
https://shorturl.at/qrtEL

## გ ] მიმდინარე და სამომავლო პროგრამათა განრიგის შესახებ

სამაუწყებლო ბადის პროცენტული გადანაწილება მიმართულებების მიხედვით 2024წ.



## პირველი არხი - გადაცემები / პროექტები

- “მოამბე”
- “კვირის მოამბე”
- არჩევნები 2024 - პარტიების წარდგენა
- არჩევნები 2024 - პარტიების წინასაარჩევნო კამპანია
- ყველა შეკითხვა ცესკოს
- დებატები - არჩევნები 2024
- “ბიზნესპარტნიორი”
- “გამომძიებელი რეპორტიორი”
- “42 -ე პარალელი”
- “აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად”
- “გადაწყვეტილება”
- “რეალური სივრცე”
- “ვაშინგტონი დღეს”
- “ფერმა”
- “ექსპონატით მოყოლილი საქართველოს ისტორია”
- “ჰოპლა ჩვენ ვცოცხლობთ”
- “ახალი დღე”
- “პირადი ექიმი მარი მალაზონია”
- “დოსიე”
- “ძველი აფიშა”
- “ამ შაბათ-კვირას”
- “აკა მორჩილაძე - დაკარგული წიგნები”
- “მასტერშეფი”
- “აკუსტიკა”
- “მუსიკის 12 მოციქული”
- “მარტივი ლოგიკა”
- “რანინა”
- “წიგნების თარო” (მოსწავლეებისთვის)
- “წიგნების თარო” (სტუდენტებისთვის)
- “ტაიმაუტი”
- “საფეხბურთო ტაიმაუტი”
- ქართული დოკუმენტური ფილმები (პირველი არხის წარმოება)
- დოკუმენტური ფილმები
- დოკუმენტური ფილმები ბავშვებისთვის
- ევროვიზია 2024
- ევროვიზია 2024 - საბავშვო
- ანიმაციური ფილმები
- ქართული სერიალი
- უცხოური სერიალები
- სპექტაკლები
- მუსიკალური კონცერტები

## „ტელეფილმების" წარმოება:

### დოკუმენტური ფილმი / სერიალი

- „თსუ დამფუძნებლები - ანდრია ბენაშვილი“;
- „თსუ დამფუძნებლები - ფილიპე გოგიჩაიშვილი“;
- „პარალიმპიელები“;
- „განწყობა“ (დიმიტრი უზნაძე);
- „კონსტანტინე პევზნერი“;
- “მეთორმეტე“;
- "ფოტოისტორიები" (4 სერია);

### კოპროდუქცია

- „აბდა-უბდა“ (ცირკი) - ელდარ შენგელაია;
- „რეალური არსებები“ - ვახტანგ ჯაჯანიძე;
- „შაშვი შაშვი მაყვალი“ - ელენე ნავერიანი;
- „ჩვენი სიყვარულის მერე“ - ამირან დოლიძე;
- "კრიმინალური ისტორიები" (3 სერია) - ამირან დოლიძე.

### სტუდია „ეპოქა"

- იოსებ გრიშაშვილის „ცხოვრება ალექსანდრე ჭავჭავაძისა“- 15 სერია;
- დავით ერისთავის „სამშობლო“- 6 სერია;

## რადიო - გადაცემები

- „პიკის საათი“;
- „შუადღის პიკი“;
- „საღამოს პიკი“;
- „ესტაფეტა“;
- „ღია სტუდია“;
- „სოციალური ღია სტუდია“;
- „მრავალფეროვანი საქართველო“;
- „ფერმერის დილა“;
- „ჩაკრულო“;
- „ტრადიციული მუსიკა“;
- „ჩაი ორისთვის“;
- „რადიოექსპრესი“;
- „უცნობი მუსიკა“;
- „მსოფლიოს ამბები“;
- „კლასიკა ყველასთვის“;
- „აკუსტიკა“;
- „მუსიკის 12 მოციქული“;
- „მთელი ეს როკი“;
- „რადიოკალენდარი“;
- „42-ე პარალელი“;
- „სი ბემოლი“;
- „ხადურის პოპ-გაკვეთილები“;
- „ახალი მუსიკა კვირიდან კვირამდე“;
- „ღამე ოპერაში“;
- „რადიოთეატრი“;
- „სპექტაკლი ღამით“;
- „დაკარგული წიგნები“ (ტელეპროექტი);
- „პოეზიის ერთი წუთი“;

## პოდკასტი

https://www.1tvpodcast.ge/

## მრავალფეროვანი საქართველო

- 2024 წლის განმავლობაში, ყოველდღიურ რეჟიმში, 1tv.ge-ზე ითარგმნებოდა ახალი ამბები აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.
- ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, ოთხი საინფორმაციო გამოშვება „მოამბე“ გადიოდა ეთერში აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე და აღნიშნული საინფორმაციო გამოშვებების ნიუსები თავსდებოდა სოციალურ ქსელებში. მიმდინარეობდა „მოამბის“ მთავარი საინფორმაციო გამოშვების სინქრონული თარგმნა ორივე ენაზე;
- საქართველოს რადიოს ეთერში მომზადდა გადაცემა - “მრავალფეროვანი საქართველო”, რომლის ძირითადი თემებია: ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი ისტორია, კულტურა, რეგიონები, სამზარეულო და საინტერესო ადამიანები და ა.შ.

## პირველი არხი სპორტი

პირველი არხის სპორტულმა არხმა 2024 წლის მაისიდან მაუწყებლობა დაიწყო და მაყურებელს სთავაზობს ეროვნულ ჩემპიონატებს ყველა დისციპლინაში. აღსანიშნავია, რომ პირველი არხი-სპორტი გახდა ევროპული პლატფორმის, EourovisionSport-ის პარტნიორი, რაც საშუალებას აძლევს ქართველ მაყურებელს, ევროპული სპორტის მრავალფეროვან, მულტიდისციპლინარულ, მათ შორის, პარასპორტის ჩემპიონატებს ადევნოს თვალი.

ბმული: https://1tv.ge/news/pirveli-arkhis-sportulma-arkhma-mauwyebloba-daiwyo/

**2024 წლის მთავარი სპორტული მოვლენები:**

- ევროპის ჩემპიონატი ფეხბურთში;
- პარიზის 2024 წლის ოლიმპიადა;
- პარიზი 2024 წლის პარალიმპიადა;
- 21- წლამდე ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩები ფეხბურთში - საქართველოს ნაკრები;
- თბილისის გრანდ სლემი - ძიუდო;
- ევროპის ჩემპიონატი - ძალოსნობა;
- ევროპის ჩემპიონატი - ძიუდო;
- დევისის თასი - ჩოგბურთი | საქართველო - მექსიკა;
- ქართული კლუბები ევროტურნირებზე - იბერია 1999, ქუთაისის ტორპედო;
- ერთა ლიგის PLAYOFF - საქართველოს ნაკრები | ლუქსემბურგი, საბერძნეთი
- EUROBASKET 2025 - ის შესარჩევი მატჩები კალათბურთში - საქართველოს ნაკრები;
- ლეგენდების მატჩი - GEO 11 VS INTER;
- წყალბურთის ჩემპიონთა ლიგა - დინამო თბილისი;
- ევროპის ჩემპიონატი წყალბურთში;
- EURO2025 - ის საკვალიფიკაციო მატჩები ფეხბურთში - საქართველოს ქალ ფეხბურთელთა ნაკრები;
- ერთა ლიგის მატჩები - საქართველოს ქალ ფეხბურთელთა ნაკრები.

## დ] დამოუკიდებელი პროგრამებისა და მათი მწარმოებლების შესახებ

### გარეწარმოება

- შპს „ნოვა პროდაქშენი” – “მასტერშეფი”;
- შპს „შოუ მედია პროდაქშენი” - „მარტივი ლოგიკა“;
- შპს „წიგნების თარო” - „წიგნები თარო“;
- International Broadcasting Bureau (IBB) - „ვაშინგტონი დღეს”;
- შპს „წიგნების თარო” - „წიგნების თარო ახალგაზრდული“;
- შპს „TV 11” – „სიყვარულს მიღმა“ (სერიალი);
- შპს „ბიზნეს მედია კორპორაცია” - „ბიზნეს პარტნიორი“.



## ე ] საზოგადოებრივი აზრისა და სამაუწყებლო ბაზრის კვლევის შედეგების შესახებ

2023 წელს შეიქმნა პირველი ქართული უფასო BVOD პლატფორმა 1tvplay.ge, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს პირველი არხის მიერ წარმოებული და შეძენილი პროდუქციისგან შექმნილ ბაზას: სერიალებს, ფილმებს, სატელევიზიო გადაცემებს. ასევე, მსხვილი სპორტული და კულტურული ღონისძიებების ლაივ სტრიმინგს. 1tvplay.ge-ზე პირველი არხი აუდიტორიას Eurovision sport-ის სპორტულ ღონისძიებებსაც სთავაზობს.

სამომხმარებლო ბაზრის შესწავლის მიზნით ჩატარდა გამოკითხვა. გამოკითხვის მიზანი იყო პოტენციური მომხმარებლების პროგრამული პრიორიტეტების, დემოგრაფიული მახასიათებლების გარკვევა. შეიქმნა, სპეციალური პროგრამა „1TVPlayStatistics", რომლის საშუალებით ინტენსიურად მუშავდება BVOD პლატფორმის მომხმარებელთა ქცევის ამსახველი მონაცემები: პროდუქციის ნახვის სიხშირე, ყურების ხანგრძლივობა, აუდიტორიის მიგრაცია. პროგრამა მოიცავს ბაზას 01.10.2023 - დან. აღსანიშნავია, რომ 31.12.2024 მონაცემებით, 1tvplay-ზე ნახვების რაოდენობა ორ მილიონამდეა (1,903,182); ყურების ხანგრძლივობამ კი - 796139:00:25 - შეადგინა

## ვ ] განხილული საჩივრების რაოდენობისა და შინაარსის შესახებ:

ა) ადმინისტრაციული საჩივრების შესახებ

2024 წლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში", როგორც ადმინისტრაციულ ორგანოში, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული საჩივარი არ შემოსულა.

ბ) თვითრეგულირების მექანიზმით გათვალისწინებული საჩივრების შესახებ

"მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის მე-14 მუხლის 1-ლი პუნქტისა და საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის #2 დადგენილებით დამტკიცებული "მაუწყებელთა ქცევის კოდექსის" საფუძველზე, სსიპ "საზოგადოებრივ მაუწყებელში" შექმნილია თვითრეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს ამ კოდექსით გათვალისწინებული საჩივრების განხილვას.

2024 წლის განმავლობაში სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" თვითრეგულირების ორგანოში საჩივარი არ შემოსულა.

## ზ ] საჯარო განხილვების შინაარსისა და მოქალაქეთა წინადადებების შესახებ:

2024 წლის განმავლობაში საჯარო ადმინისტრაციული წარმოების წესით განხილვა არ განხორციელებულა.

## თ] საზოგადოებრივ მაუწყებელსა და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიასა და რადიოსთან ურთიერთდამოკიდებულების მქონე საწარმოების შესახებ:

საზოგადოებრივ მაუწყებელს არ გააჩნია “მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის “თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საწარმოები.

## ი] საზოგადოებრივი მაუწყებლის მომავალი წლის ბიუჯეტის შესახებ

სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" 2025 წლის ბიუჯეტის
საანგარიშგებო პერიოდი: 01.01.2025 - 31.12.2025
ვალუტა: ლარი

| | |
|---|---|
| სამეურვეო საბჭო | 1,517,850 |
| საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯი | 63,873,244 |
| საინვესტიციო საქმინობაზე გაწეული ხარჯი | 27,857,655 |
| ფინანსური ხარჯი | 30,119,485 |
| **მთლიანი ბიუჯეტი:** | **123,368,234** |

## 3 ] საზოგადოებრივი მაუწყებლის ბიუჯეტის შესრულების შესახებ - 2024 წლის ანგარიში

### ბიუჯეტის შესრულების ზოგადი პარამეტრები

“საზოგადოებრივი მაუწყებლის” სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებულმა 2024 წლის მთლიანმა ბიუჯეტმა შეადგინა 157,734,997 ლარი.

“საზოგადოებრივი მაუწყებლის” მიერ 2024 წლის განმავლობაში ჯამურად მიღებულმა საკასო შემოსავალმა შეადგინა 100,177,654 ლარი. აქედან, 85,242,456 ლარი შეადგინა სახელმწიფო ასიგნებამ, 14,935,198 ლარი - კომერციული საქმიანობიდან მიღებულმა შემოსავალმა. 2024 წლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ გაწეული ჯამური საკასო ხარჯი შეადგენდა 125,303,806 ლარს.

2024 წლის დაგეგმილი ბიუჯეტისა და გაწეული საკასო ხარჯის შედარება:

### ძირითადი მიმართულებების მიხედვით ბიუჯეტის გეგმა და მისი შესრულება

| | ბიუჯეტი | ხარჯი | სხვაობა | % |
|---|---|---|---|---|
| გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები | 774,426 | 751,829 | 22,597 | 97.1% |
| საერთო და ადმინისტრაციული | 7,666,480 | 6,411,310 | 1,255,170 | 83.6% |
| ახალი და მიმდინარე ამბები | 13,577,939 | 12,683,499 | 894,440 | 93.4% |
| მედია | 18,704,469 | 12,422,242 | 6,282,227 | 66.4% |
| ტექნიკური ხარჯი | 12,041,423 | 11,057,601 | 983,822 | 91.8% |
| ონლინ მედია | 1,664,822 | 1,009,023 | 655,799 | 60.6% |
| სხვა სამაუწყებლო ხარჯი | 6,768,311 | 5,344,551 | 1,423,760 | 79.0% |
| საინვესტიციო ხარჯები | 75,566,414 | 59,410,791 | 16,155,623 | 78.6% |
| ფინანსური ხარჯი | 20,970,713 | 16,212,959 | 4,757,754 | 77.3% |
| **მთლიანი ბიუჯეტი** | **157,734,997** | **125,303,806** | **32,431,191** | **79.4%** |

წლის განმვალობაში სამეურვეო საბჭოზე გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1,053,692 ლარი

როგორც მოცემული ცხრილიდან ჩანს, 2024 წლის ჯამურმა საკასო ხარჯმა შეადგინა ბიუჯეტირებულთან შედარებით 32,431,191 ლარით ნაკლები (21.6%-ით ნაკლები). ცალკეული მიმართულებების მიხედვით ბიუჯეტირებულსა და ფაქტობრივად გაწეულ საკასო ხარჯებს შორის სხვაობისთვის იხილეთ ქვემოთ მოცემული გრაფიკი.

2024 წლის დასაწყისში მაუწყებლის ანგარიშზე აკუმულირებული ფულადი ნაშთი შეადგენდა 63,583,725 ლარს, ხოლო დასასრულს დარჩენილმა საკასო ნაშთმა შეადგინა 37,403,882 ლარი.

## ბიუჯეტის შესრულება, 2024 წ.




## შრომის ანაზღაურება

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2024 წლის შრომის ანაზღაურებაზე ბიუჯეტირებული თანხა განისაზღვრა 34,061,212 ლარით, ფაქტობრივმა გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 31,805,201 ლარი. ფაქტობრივმა სახელფასო ხარჯმა ბიუჯეტთან შედარებით 2,256,011 ათასი ლარით ნაკლები შეადგინა.

## 2024 წლის შრომის ანაზღაურების გადანაწილება ბლოკების მიხედვით:

| | ბიუჯეტი | ხარჯი | სხვაობა | % |
|---|---|---|---|---|
| გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები | 774,426 | 751,829 | 22,597 | 97.1% |
| ფინანსები, ადმინისტრაცია, მარკეტინგი | 3,101,249 | 3,073,506 | 27,743 | 99.1% |
| ახალი და მიმდინარე ამბები | 11,338,576 | 10,963,041 | 375,535 | 96.7% |
| მედია | 9,437,081 | 8,500,969 | 936,112 | 90.1% |
| ტექნიკა და ტექნოლოგიები | 8,145,658 | 7,609,451 | 536,207 | 93.4% |
| ონლაინ მედია | 1,164,222 | 906,406 | 257,816 | 77.9% |
| სხვა ფინანსური ხარჯი | 100,000 | - | 100,000 | 0.0% |
| **ჯამი:** | **34,061,212** | **31,805,201** | **2,256,011** | **93.4%** |

## შრომის ანაზღაურება




## მივლინება

2024 წლის ბიუჯეტით განსაზღვრული სამივლინებო ხარჯი შეადგენდა 1,305,162 ლარს, ხოლო ფაქტობრივმა სამივლინებო ხარჯმა შეადგინა 1,002,991 ლარი, რაც დაგეგმილთან შედარებით 302,171 ლარით ნაკლებია.

ხარჯები ნაწილდება შემდეგნაირად:

## სამივლინებო ხარჯები სამსახურების მიხედვით:

| | გეგმა | ფაქტი | სხვაობა |
|---|---|---|---|
| ადმინისტრაცია და მენეჯმენტი | 128,974 | 100,306 | 28,668 |
| ახალი და მიმდინარე ამბები | 812,681 | 546,448 | 266,232 |
| მედია | 358,507 | 346,457 | 12,050 |
| ტექნიკა და ტექნოლოგიები | 5,000 | 9,780 | (4,780) |
| **ჯამი:** | **1,305,162** | **1,002,991** | **302,171** |

## მივლინება 2024




## საინვესტიციო ხარჯები:

2024 წლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ გაწეულ იქნა 59,410,791 ლარის კაპიტალური ხარჯები:

| | |
|---|---|
| ახალი შენობის მშენებლობა | 43,374,734 |
| ტექნიკური აღჭურვა | 13,369,900 |
| არამატერიალური აქტივი | 1,494,436 |
| სხვა საინვესტიციო ხარჯი (სტუდიის დეკორაცია) | 1,171,721 |

## ფინანსური ხარჯები:

2024 წლის განმავლობაში მაუწყებლის მიერ გაწეულ იქნა 16,212,959 ლარის კაპიტალური ხარჯები:

| | |
|---|---|
| საგადასახადო გადასახდელები | 1,846,585 |
| სესხის მომსახურება | 13,896,221 |
| სხვა ფინანსური ხარჯი | 470,153 |

## კომერციული შემოსავლები

2024 წლის განმავლობაში საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ საკუთარი სახსრებით მოზიდულმა თანხამ შეადგინა 14,935,198 ლარი.

### 2024 წლის კომერციული შემოსავლები

| ანგარიში | ჯამი |
|---|---|
| **პერიოდის საწყისი ნაშთი** | **63,583,725** |
| **სახელმწიფო ასიგნება** | **85,242,456** |
| **კომერციული საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები** | **1,532,743** |
| რეკლამიდან მიღებული შემოსავალი | 834,086 |
| სპონსორობა | 637,910 |
| პროდაქტ ფლეისმენტი | 29,458 |
| იჯარიდან მიღებული შემოსავალი | 3,688 |
| ტექნიკური მომსახურება | 21,846 |
| საარქივო მომსახურება | 5,755 |
| **სხვა არასაოპერაციო/ფინანსური შემოსავალი** | **13,402,455** |
| ქონების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი | 5,805,350 |
| დეპოზიტის პროცენტი | 7,387,857 |
| დადებითი საკურსო სხვაობა | 2,413 |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავლები | 206,834 |
| **სულ საკასო ფულადი ნაკადები** | **100,177,654** |
| **სულ საკასო ხარჯი** | **126,357,497** |

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ 2024 წლის განმავლობაში გაწეული ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი N1.

# დანართი N1

| საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯი | 49,680,055 |
|---|---|
| **გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები** | **751,829** |
| **შრომის ანაზღაურება** | **751,829** |
| გენერალური დირექტორის სამსახური | 206,750 |
| შიდა აუდიტი | 84,970 |
| ადამიანური რესურსების მართვის სამსახური | 229,796 |
| იურიდიული სამსახური | 230,313 |
| **საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი** | **6,411,310** |
| შრომის ანაზღაურება | 3,073,506 |
| მივლინება | 100,306 |
| მარკეტინგი | 141,112 |
| კომუნალური ხარჯები | 1,421,767 |
| ავტოპარკი | 634,217 |
| საოფისე ხარჯი | 977,023 |
| წარმომადგენლობითი ხარჯი | 63,381 |
| **ახალი და მიმდინარე ამბები** | **12,683,499** |
| შრომის ანაზღაურება | 10,963,041 |
| მივლინება | 546,448 |
| უცხოური საინფ. სააგ/სიგნალის გადმოგორება | 491,698 |
| გარეწარმოება | 682,312 |
| **მედია** | **12,422,242** |
| შრომის ანაზღაურება მივლინება | 8,500,099 |
| მივლინება | 346,457 |
| გარეწარმოება | 2,191,115 |
| მხატვრული ტელესერიალები | 363,037 |
| კოპროდუქცია | 25,500 |
| შესყიდვები მედია | 996,03 |

| | |
|---|---|
| **ტექნიკური ხარჯი** | **11,057,601** |
| შრომის ანაზღაურება | 7,610,451 |
| მივლინება | 9,780 |
| ვებ მაუწყებლობის და სიგნალის გავრცელების ხარჯები | 2,211,167 |
| სხვა არასაინვესტიციო ხარჯი | 1,226,203 |
| მცირეფასიანი ტექნიკა/შეკეთება | 179,536 |
| პროგრამული უზრუნველყოფა - მოკლევადიანი | 378,677 |
| სტუდიის ხარჯები | 29,781 |
| ინტერნეტ და სატელევიზიო მომსახურება | 325,332 |
| საკომუნიკაციო ჯებით მომსახურება | 157,956 |
| არქივის გაციფრულების პროექტი | 94,391 |
| სხვა ტექნიკური ხარჯი | 60,530 |
| **ონლაინ მედია** | **1,009,023** |
| შრომის ანაზღაურება | 906,386 |
| ონლაინ მედიის შესყიდვები | 102,637 |
| **სხვა სამაუწყებლო ხარჯი** | **5,344,551** |
| ევროპის მაუწყებელთა კავშირის (EBU) საწევროს ხარჯი | 597,726 |
| სატელევიზიო ფორმატები | 251,712 |
| სიგნალები და სპორტული სააგენტოები | 1,390,489 |
| სპორტული ლიცენზიები | 3,073,964 |
| ქართული ფილმები | 30,660 |
| **სხვა სამაუწყებლო ხარჯი** | **59,410,791** |
| **ახალი შენობის მშენებლობა** | **43,374,734** |
| მშენებლობის ხარჯები | 38,754,366 |
| ზედამხედველობის ხარჯი | 1,621,151 |
| ინვენტარი/ავეჯი | 2,999,217 |
| **ტექნიკური აღჭურვა** | **13,369,900** |
| კომპიუტერული ტექნიკა | 669,000 |
| სტუდიური აპარატურა | 11,628,188 |

| | |
|---|---|
| პროგრამული უზრუნველყოფა - გრძელვადიანი | 156,780 |
| სხვა დანარჩენი ტექნიკის შესყიდვა | 915,932 |
| **არამატერიალური აქტივი** | **1,494,436** |
| მექანიკური პროდუქცია | 1,466,081 |
| სხვა არამატერიალური აქტივები | 28,356 |
| **სხვა საინვესტიციო ხარჯი** | **1,171,721** |
| სტუდიის დეკორაცია | 1,171,721 |
| **ფინანსური ხარჯი** | **16,212,959** |
| **საგადასახადო გადასახდელები** | 1,846,585 |
| დღგ (რეალიზაციის, უკუდაბეგვრის) | 1,766,725 |
| ქონების გადასახადი | 65,461 |
| მიწის გადასახადი | 5,853 |
| მოგების გადასახადი | 8,546 |
| **სესხის მომსახურება** | 13,896,221 |
| **სხვა ფინანსური ხარჯი** | 470,153 |
| სახელმწიფო ბაჟი | 10,700 |
| კომპენსაცია/სხვა დავალიანებები | 149,895 |
| საავტორო უფლებები | 309,558 |
| **სულ ხარჯი** | **125,303,806** |

## ლ] შიდა და გარე აუდიტების დასკვნები

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2024 წლის შიდა და გარე აუდიტორული ანგარიშები წარმოდგენილია დანართის სახით ( იხ. დანართი N1 და დანართი N2).

# სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შიდა აუდიტის 2024 წლის ანგარიში

აუდიტორი

კახაბერ მურცხვალაძე
20/03/2025

## ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამაუწყებლო პოლიტიკას განსაზღვრავს კანონი „ მაუწყებლის შესახებ" და მისგან გამომდინარე პროგრამული პრიორიტეტები, რომელსაც შეიმუშავებს საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო.

საზოგადოებრივი მაუწყებლობის დაფინანსების ძირითადი წყაროა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი. საზოგადოებრივი მაუწყებლობის დაფინანსების ოდენობაა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ წლიური კანონის პროექტის შემუშავების პერიოდში დასაგეგმი წლის წინა წლისთვის განსაზღვრული მთლიანი შიდა პროდუქტის არანაკლებ 0,14 % ისა. საზოგადოებრივი მაუწყებლობის გადასახდელის გადამხდელია ყველა ფიზიკური პირი , რომელსაც საქართველოში აქვს საშემოსავლო გადასახადით დასაბეგრი შემოსავალი. ბიუჯეტის შედგენაზე, შესრულებაზე, აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი „

ანგარიშის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს საქართველოს კანონი "მაუწყებლობის შესახებ" - მუხლი 35: სამეურვეო საბჭო არაუგვიანეს ყოველი წლის 1 მაისისა საქართველოს პარლამენტსა და კომისიას წარუდგენს და აქვეყნებს გასული წლის შიდა და გარე აუდიტების დასკვნებს .

### 2024 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა

საზოგადოებრივი მაუწყებლის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი სამეურვეო საბჭოს წარედგინა დასამტკიცებლად 2023 წლის დეკემბერში. 2024 წლის ბიუჯეტის საერთო მოცულობამ შეადგინა - 159 252 847 ლარი. ბიუჯეტში ძირითადი აქცენტი გაკეთებულია მშენებლობის, ახალი შენობის აღჭურვის და გადასვლის ხარჯებზე.

მსხვილი მუხლების მიხედვით ჩაშლილია შემდეგნაირად:

| | |
|---|---|
| სამეურვეო საბჭო | 1,517,850 |
| საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული ხარჯი | 60,863,970 |
| საინვესტიციო საქმინობაზე გაწეული ხარჯი | 75,566,414 |
| ფინანსური ხარჯი | 21,304,613 |
| მთლიანი ბიუჯეტი: | 159,252,847 |

## ბიუჯეტის დაფინანსების წყაროები:

საზოგადოებრივი მაუწყებელი ძირითადად ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან. 2024 წლის ბიუჯეტის 53%-ს შეადგენდა სახელმწიფოსგან მიღებული ასიგნება, 5,78%-ს - ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, ხოლო 41,2% შეადგინა მშენებლობის საჭიროებსთვის წინა (2023წ) წელს დაგენერირებულმა ნაშთმა.

### ფულადი შემოსულობები

| | |
|---|---|
| სახელმწიფო ასიგნება | 85,242,456 |
| შენობის რეალიზაცია | 5,700,000 |
| კომერციული შემოსავალი | 1,663,699 |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავალი | 1,850,000 |
| სამშენებლო ხარჯის გარადამავალი ნაშთი | 64,796,692 |
| **ჯამი** | **159,252,847** |

მაუწყებლის მიერ წარდგენილ ბიუჯეტის პროექტში დაგეგმილი ეკონომიკური საქმიანობიდან მოსალოდნელი შემოსავალი შეადგენდა 9 213 699 ლარს. 2024 წლის განმავლობაში მაუწყებელის მიერ ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებულმა ფაქტობრივმა შემოსავალმა შეადგინა 14 932 785 ლარი, რომლის მნიშვნელოვანი წილი (49,7%) უჭირავს დეპოზიტზე დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს.

## ბიუჯეტის შესრულების ტენდენციები:

დაგეგმილი და გაწეული საკასო ხარჯის შედარება

| ბიუჯეტის გეგმა / შესრულება | ბიუჯეტი | ხარჯი | სხვაობა | % |
|---|---|---|---|---|
| სამეურვეო საბჭო | 1 517 850 | 1 053 692 | 464 158 | 69,42% |
| გენერალური დირექტორი და დაქვემდებარებული სამსახურები | 774 426 | 751 829 | 22 597 | 97,08% |
| ახალი და მიმდინარე ამბები | 13 577 939 | 12 683 499 | 894 439 | 93,41 % |
| მედია | 18 704  469 | 12 422  242 | 6 282 227 | 66,41% |
| ტექნიკა და ტექნოლოგიები | 12 041 423 | 11 057 601 | 983 822 | 91,82% |
| ფინანსები და ადმინისტრაცია | 7 666 480 | 6 411 310 | 1 255 170 | 83,63% |
| სხვა გადასახადები | 575 000 | 470 153 | 104 847 | 82% |
| **მთლიანი ბიუჯეტი** | 54 857 587 | 44 850 326 | 10 007 261 | 82% |

## ფინანსური და არაფინანსური აქტივები

არაფინანსური აქტივების ზრდა გამოწვეულია სამშენებლო სამუშაოებით. წლის განმავლობაში მაუწყებლის ძირითადი ფინანსური რესურსი მიმართული იყო ახალი შენობის მშენებლობის და კეთილმოწყობისთვის, რამაც გამოიწვია არაფინანსური აქტივის მკვეთრი მატება.

| ფინანსური აქტივები | წლის დასაწყისი | წლის ბოლო |
|---|---|---|
| დეპოზიტზე არსებული ნაშთი | 63 568 916,64 | 37 386 783,14 |
| ბარათზე არსებული ნაშთი | 4 039,78 | 9 129,32 |
| უცხოური ვალუტის ნაშთი | 14 808,59 | 17 098,55 |
| მიზნობრივი გრანტი | 1 862,00 | 1 876,18 |
| ჯამი | **63 589 627,01** | **37 414 887,19** |

| არაფინანსური აქტივები | წლის დასაწყისი | წლის ბოლო |
|---|---|---|
| მიწა; პოლიტკოვსკაია 31 | 22 293 0445 | 22 930 445 |
| მანქანა დანადგარები და მოწყობილობები | 33 072 831,38 | 47 633 114,02 |
| დაუმთავრებელი აქტივები (შენობა) | 31 858 383,27 | 71 731 804,04 |

არაფინანსური აქტივები (დაუმთავრებელი შენობა) ჩაშლილი მონაცემების მიხედვით გამოიყურება შემდეგნაირად:

| | |
|---|---|
| საექსპერტო | 33,673.24 |
| სხვა | 802,925.74 |
| საზედამხედველო | 1,559,227.54 |
| საინჟინრო აქტივი | 24,429,800.84 |
| სამშენებლო | 13,047,793.41 |

## შესყიდვები

შესყიდვები განხორციელდა წლის დასაწყისში დაგეგმილი მონაცემების შესაბამისად. რიგ შემთხვევებში, იყო მინიმალური განსხვავება დაგეგმილსა და ფაქტობრივად განხორციელებულ შესყიდვას შორის, თუმცა, აღნიშნული გამოწვეული იყო ტენდერის პროცედურის თავისებურებებით. ფასთა კვლევის შედეგად გაცხადებული თანხის მოცულობა ძირითადად 20%-ის ფარგლებში განიცდიდა კლებას, თუმცა, წლის მანძილზე რამდენიმე შემთხვევა ფიქსირდება, როდესაც ფასის კლება განხორციელდა 20%-ზე მეტი მოცულობით. ასეთ შემთხვევაში პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი იყო ფასწარმოქნის ადეკვატურობის დოკუმენტი.

| შესყიდვის საშუალება | რაოდენობა | ხელშეკრულების ჯამური ღირებულება | გახარჯული თანხა ნაზარდი ჯამით | % |
|---|---|---|---|---|
| ელექტრონული ტენდერი | 39 | 23 660 491.96 | 16 459 953.33 | 69% |
| კონსოლიდირებული ტენდერი | 17 | 720 125.18 | 31 634.00 | 5% |
| გამარტივებული ტენდერი | 386 | 5 326 710.47 | 2 405 063.39 | 45% |
| გამარტივებული ტენდერი (გადაუდებელი) | 1 | 34 236.00 | - | |
| **ჯამი** | 443 | 29 741 563.61 | 18 896 650;72 | 63% |

ცხრილში მოყვანილი 63%-იანი ათვისება გულისხმობს, რომგამოცხადებული ტენდერების 37%- არის გარდამავალი და შესაბამისად ათვისებული იქნება მომდევნო პერიოდში.

## ინვენტარიზაცია

ინვენტარიზაცია წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება ბუღალტრული ნაშთების ფაქტობრივი მდგომარეობის შედარება. ინვენტარიზაცია გულისხმობს როგორც სასაქონლო მატერილური ფასეულობების, ასევე, ძირითადი საშუალებების აღწერას. აუდიტორულმა კომპანია - შპს „კორა კონსალტინგმა", 2024 წლის 6 ნოემბერის 182-1 ხელშეკრულების თანახმად, გაწია მომსახურება, რაც გულისხმობს სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების და სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ერთჯერად ინვენტარიზაციას. შედეგად მოხდა ყველა არსებული ძირითადი საშუალების და სასაქონლო მატერიალური ფასეულობების დათვლა და ბუღალტრულ ნაშთებთან შედარება. ინვენტარიზაციის პროცესში გამოვლინდა სხვაობა ფაქტობრივ რაოდენობასა და ბუღალტრულ ნაშთებს შორის - 2024 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ჯამში 6 ძირითად საშუალებაზე (კამერის ჩანთები) საწყისი საბალანსო ღირებულებით 11 380 ლარი, ხოლო ნარჩენი საბალანსო ღირებულებით 8 440 ლარი.

| კოდი+/ ანგარიში + | დასახელება | საწყისი ღირებულება | ნარჩენი ღირებულება | ინვენტარის # | ბუღალტრული რაოდენობა | სხვაობა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 49208 | კამერის ჩანთა Hard camera carrying case | 1,897 | 1,407 | 25458 | 1 | -1 |
| 49209 | კამერის ჩანთა Hard camera carrying case | 1,897 | 1,407 | 25458 | 1 | -1 |
| 49210 | კამერის ჩანთა Hard camera carrying case | 1,897 | 1,407 | 25458 | 1 | -1 |
| 49211 | კამერის ჩანთა Hard camera carrying case | 1,897 | 1,407 | 25458 | 1 | -1 |
| 49212 | კამერის ჩანთა Hard camera carrying case | 1,897 | 1,407 | 25458 | 1 | -1 |
| 49213 | კამერის ჩანთა Hard camera carrying case | 1,897 | 1,407 | 25458 | 1 | -1 |

## ავტოპარკი

ტრანსპორტის ხარჯი - ახალ შენობაში გადასვლის პროცესში გადაცემების ნაწილმა გადაინაცვლა რადიოპლატფორმაზე, რამაც გამოიწვია მივლინებების და ტრანსპორტის მოხმარების შემცირება, შსაბამისად დაფიქსირდა საწვავის ნაკლები ხარჯვა და არ დადგა ავტოპარკის განახლების საჭიროება. ასევე, წინა წელთან შედარებით, საწვავის ფასი შემცირდა 5-6%-ით. აღნიშნულმა ფაქტორებმა განაპირობა დაგეგმილი ბიუჯეტიდან საწვავისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსის ნაწილობრივ ათვისება.

| | ბიუჯეტი | ხარჯი | სხვაობა | % |
|---|---|---|---|---|
| ავტოპარკის სერვისი | 405 000 | 149 812 | 255 188 | 37 % |
| საწვავი | 800 000 | 243 200 | 556 800 | 30 % |
| ავტოპარკის განახლება | 187 620 | - | - | - |
| ავტოპარკის დაზღვევა | 50 000 | 35 478 | 14 522 | 71 % |
| პარკირება და სხვა | 19 600 | 17 657 | 1 943 | 90% |
| **ჯამი** | **1 462 220** | **634 217** | **828 003** | **43 %** |

## მიმნება

| | გეგმა | ფაქტი | მაჩვენებელი |
|---|---|---|---|
| **კომუნალური ხარჯი** | | | |
| წყალი | 139,429.15 | 226,825.04 | 1.63 |
| ელექტრო ენერგია | 798,796.81 | 621,019.38 | 0.78 |
| ბუნებრივი აირი | 81,268.40 | 93,769.86 | 1.15 |
| დასუფთავება | 372,000.00 | 480,152.28 | 1.29 |
| | | | |
| **ადმინისტრაციული ხარჯები** | | | |
| სამეურნეო საქონელი | 39,300.00 | 219,932.19 | 5.60 |
| | | | |
| **ტექნიკური: სხვა არასაინვესტიციო ხარჯი** | | | |
| ინტერნეტ და სატელევიზიო მომსახურება | 18,920.00 | 325,332.00 | 17.20 |
| საკომუნიკაციო ჭებით მომსახურება | 42,901.28 | 157,955.92 | 3.68 |
| არქივის გაციფრულების პროექტი | 50,000.00 | 94,390.84 | 1.89 |
| | | | |
| **მარკეტინგი** | | | |
| სხვა მარკეტინგული ხარჯი | 210,500.00 | 2,850.00 | 0.01 |
| | | | |
| **მივლინება** | | | |
| ახალი ამბები | 802,152.13 | 535,028.38 | 0.67 |
| | | | |
| სესხის მომსახურება | 13,500,000.00 | 13,896,220.53 | 1.03 |

| აუდიტის საგანი | მიგნება / განმარტებითი შენიშვნები |
|---|---|
| კომუნალური ხარჯი | კომუნალური ხარჯების ნაწილში წყლის, ბუნებრივი აირის და დასუფთავების ბიუჯეტის გეგმიურ და ფაქტობრივ მაჩვენებლებს შორის სხვაობა შეადგენს 208 050 ლარს, რომლის დიდი ნაწილი (52%) მოდის დასუფთავებაზე. აღნიშნული დაკავშირებულია ახალი შენობის რემონტის შემდგომ დასუფთავებასთან და მენეჯმენტის განმარტებით გათვალისწინებული იყო ახალი შენობის მშენებლობის მუხლში, თუმცა ფორმალურად მისი ასახვა მოხდა კომუნალური ხარჯების მუხლში, რადგან თვისობრივად შეესაბამებოდა ამ მიმართულებას. |
| ადმინისტრაციული ხარჯი | ხარჯის გადაჭარბება ფიქსირდება სამეურნეო ნაწილში. აღნიშნული მიმართულებით ხარჯი გათვალისწინებული იყო ახალი შენობის მშენებლობის მუხლში, თუმცა მისი ასახვა მოხდა თემატურად შესაბამის მუხლში. |
| ტექნიკური; სხვა არასაინვესტიციო ხარჯი | ახალი შენობის ტექნიკური აღჭურვისთვის იყო გამოყოფილი შესაბამისი სახსრები, თუმცა მოხდა ამ ხარჯების ასახვა შესაბამის თემატურ მუხლში, რამაც შექმნა გადაჭარბების ეფექტი. |
| მარკეტინგი | მარკეტინგული მიმართულებით ფიქსირდება ათვისების დაბალი მაჩვენებელი, რაც გამოწვეულია იმით, რომ ახალი წლის საზეიმო ღონისძიებისთვის გათვალისწინებული ხარჯები არ იქნა გამოყენებული სრულად, დედაქალაქში მიმდინარე აქციების გამო. |
| მივლინება | მივლინებების კუთხით ბიუჯეტით გათვალისწინებული რესურსიდან დანახარჯი შეადგენს 67%-ს. აღნიშნულ მაჩვენებელზე გავლენა იქონია ახალ შენობაში გადასვლის პროცესმა (დროებით შეიცვალა საეთერო ბადე, რაც თავისმხრივ გულისხმობს გარკვეული მივლინებების შეჩერებას). |
| სესხი | სესხის მომსახურების ნაწილში დანახარჯები გადაჭარბებულია 396 221 ლარით. დაგეგმილი 13 500 000 ნაცვლად გადახდილმა თანხამ შეადგინა 13 896 221 ლარი. სესხის საპროცენტო განაკვეთი განეკუთვნება ინდექსირებულ კატეგორიას, შესაბამისად, იცვლება რეფინანსირების განაკვეთის მაჩვენებლიდან გამომდინარე, რის გამოც მისი ზუსტი პროგნოზირება შეუძლებელია. |

**რეკომენდაცია:**

1. ინვევნტ არიზაცია სთან დაკავშ ირებ ით აქტშ ი მოყვან ილ ფაქ ტზე , გაიცე ს რეკომენდაცია; შესაბამისმა სამსახურმა და პასუხისმგებელმა პირმა აწარმოოს მონიტორინგი შემდგომი პროცესების სამართავად.

2. რადგან ხარჯების ცალკეული კატეგორია თანხობრივად ასახული იყო ბიუჯეტში, მაგრამ შესრულებაში ეს თანხები აისახა შინაარსობრივად სხვა მუხლში, უმჯობესია, რომ თავიდანვე, დაგეგმვის ეტაპზე მოხდეს მათი გაწერა თემატურ მიმართულებებში;

3. მარკეტინგი - გარე ფაქტორებიდან გამომდინარე, რამაც გამოიწვია ღონისძიებების შეჩერება, ამის გათვალისწინება წინასწარ ვერ მოხერხდებოდა, შესაბამისად ბიუჯეტის კორექტირებაც მეოთხე კვარტლის მეორე ნახევარში შინაარს მოკლებული იქნებოდა.

4. აუდიტის მიგნებაში მივლინების თემასთან დაკავშირებით, გამომწვევ მიზეზად გამოიკვეთა გადაცემების ფორმატის ცვლილება ან დროებით რადიოში გადანაცვლება. ვინაიდან, წლის პირველ ნახევარში ცნობილი გახდა ამგვარი საჭიროების შესახებ, სასურველი იქნებოდა ბიუჯეტის შესაბამის მუხლში კორექტირების განხორციელება კლების მიმართულებით.

## ხელმძღვანელობის და აუდიტის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე, ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ" საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის №108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

## აუდიტის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და წარმოვადგინოთ დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ის (საჯარო სექტორის ეფექტიანობის აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები) მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას, ამასთანავე ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს.

